





**Georgian National  
Film Center**  
საქართველოს კინემათოგრაფიის  
ცენტრის სამსახური

## ბრობის ფიჩეტი №2



2010



## კონკურსები

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ 2010 წლის II კვარტალში გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილ იქნა:

1. სრულმეტრაჟიანი მსატგრული ფილმის წარმოებაზე - 23 პროექტი. საექსპერტო კომისიამ განხილვის შედეგად სრულმეტრაჟიანი მსატგრული ფილმებიდან გამარჯვებულად გამოაცხადა პროექტები:

- “კავკასიური ქრონიკა” (პროდიუსერი - ქეთევან გალდავაძე, შპს „პასტრა ფილმს” რეჟისორი - დიტო ცინცაძე).
- „როგორც ღრუბელი” (პროდიუსერი - არჩილ გელოვანი, სს „ქართული ფილმი”, რეჟისორი - მიხეილ კობახიძე).
- „მტრები” (პროდიუსერი - ზურაბ მალალაშვილი, შპს „სინეტექი”, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).

2. სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის წარმოებაზე - 43 პროექტიდან განხილვის შედეგად გაიმარჯვა შვიდმა პროექტმა.

- „ღვინის აკვანი” (წარმოება - „ახალი სტუდია”, რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი).
- „რესტორანი ბახმარო და ისინი ვინც იქ მუშაობენ” (წარმოება - შპს „საქდოკ-ფილმი”, რეჟისორი - სალომე ჯაში).
- „ავტო-ტური” (წარმოება - შპს „ჯემინი”, რეჰისორი - კონსტანტინე ესაძე).
- „ჩვენი შვილები” (წარმოება - ქალთა საკონსულტაციო ცენტრი „სახლი”, რეჰისორი - ზურა ინაშვილი).
- „უილიამ ოზგუდ ფილმის მოგზაურობა საქართველოში” (წარმოება - შპს „იქს-ეფი”, რეჰისორი - გიორგი მრევლიშვილი).
- „სიხარულის ოდა” (წარმოება - შპს „იქს-ეფი”, რეჰისორი - მიხეილ მრევლიშვილი).
- „ეს კახია კავსაძე” (წარმოება - ააიპ „სტუქო”, რეჰისორი - ნანა ჯანელიძე).

3. სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის წარმოებაზე 19 პროექტიდან შეირჩა 4 პროექტი:

- „ბუცეფალი” (წარმოება - შპს „კვალი”, რეჰისორი - მარიამ კანდელაკი).
- „ცრუპენტელა აღმზრდელი” (წარმოება - შპს „იქს-ეფი”, რეჰისორი - დავით სიხარულიძე).
- „უკანასკნელი წერილი” (წარმოება - შპს „ბკალი”, რეჰისორი - გელა კანდელაკი).
- „რიტუალი” (წარმოება - შპს „ინფო თბილისი”, რეჰისორები - ზალიკო სულაკაური, გელა ბერიანიძე, ვიქტორ წიკლაური)



ქადრი ფილმიდან „რენე მიდის პოლივულში“



რეისორი ალექს ცაძამე



„საქართველოში დაბადებულები“ - გადაღების პროცესი



ნუცა კუხანიძე - პროექტი „ზუთის“ პროდიუსერი

## კინოწარმოება

დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „რენე მიდის პოლივულში“ (წარმოება - შპს „დამოუკიდებელი კინოპროექტი“, რეჟისორი - ალექს ცაძამე). ფილმის პრემიერა სექტემბერში იგეგმება.

დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მესაათე“, (წარმოება - შპს „სანგუკო“, რეჟისორი- გიორგი მასხარაშვილი). ფილმის პრემიერაც სექტემბერში შედგება.

„ფალაგანი“ - მიმდინარეობს დოკუმენტური ფილმის მონტაჟი მიმდინარეობს (წარმოება - შპს. „პალესტრა“, რეჟისორი - თემურ ცავა), ფილმი დასრულდება წლის ბოლოს.

დასრულდა სადიპლომო მხატვრული და ანიმაციური ფილმები - 4 პროექტი შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სტუდენტების ავტორობით (სტუდენტი/რეჟისორები - ვაკო კირკიტაძე, გივი თუხარელი, ნათია ნიკოლაშვილი, თინიკო ებრალიძე), საერთო ბიუჯეტი 10 000 ლარი. ფილმების პრემიერა შედგა 29 ივნისს.

მოსამზადებელ ფაზაში შევიდა ანიმაციური ფილმი „ბუცეფალი“ (წარმოება - შპს „პვალი“, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი).

მოსამზადებელ პერიოდშია ასევე ანიმაციური ფილმი „უკანასკნელი წერილი“ (წარმოება - შპს „კვალი“, რეჟისორი - პაატა შენგელია).

წარმოებაში ჩაეშვა „სანგუკოს“ სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ზუთი“. პროექტის ფარგლებში გადაღებები მიმდინარეობს რეჟისორ თამარ შავგულიძის ფილმზე „საქართველოში დაბადებულები“. მოსამზადებელ პერიოდშია პროექტი „თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე.

მოსამზადებელ პერიოდშია დოკუმენტური ფილმი „უილიამ ოზგუდფილდის მოგზაურობა საქართველოში“ (წარმოება - შპს „იქს-ეფი“, რეჟისორი - გიორგი მრევლიშვილი).

# კინოფისტივალები და ბაზრობები

## კანის 63-ე კინოფისტივალი

ეროვნული კინოცენტრი კანის 63-ე კინოფისტივალის ბაზრობიდან „MARCHE DU FILM“ საინტერესო წინადაღებებით და გეგმებით დაბრუნდა. საქართველოს პავილიონში თორმეტდღიანმა აქტიურმა მუშაობამ ნაყოფიერად ჩაიარა.



საქართველოს პავილიონი კანში



სამუშაო პროცესი

კანში მსოფლიო კინემატოგრაფის ეპიცენტრში გაგრძელდა ქვეყნის პოპულარიზაციის პროცესი, დამყარდა ახალი კონტაქტები და დაისახა არაერთი სამომავლო გეგმა. კინოცენტრის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს სხვა ქვეყნების კინოსექტორის წარმომადგენლებთან. მათ შორის იყვნენ:

რობერტო ოლლა (Eurimages),  
საიმონ პერრი (Irish Film Board),  
ივანა ჟრონისი (Hubert Bals Fund),  
ლარი ბრაუნელი (Association of Film Commissioners International)  
არი ბოჭრერი (European Film Commission Network),  
მარტინა ბლაისი (Berlinale Co-production market),  
მირიამ არაბი (Marche du Film),  
ანა ილიკი (Serbia Film Commission),  
ალან ფონტენი (EAVE President).

ამ და სხვა 40-მდე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან საქმიანი ურთიერთობის გაგრძელება ქართული კინოს ეტაპობრივ განვითარებას შეუწყობს ხელს.

კანში ქართულ პავილიონში გამართულ მიღებას ბევრი სტუმარი დაესწრო, მათ შორის იყვნენ ქართველი და უცხოელი რეჟისორები, პროდიუსერები, მსახიობები, კინომოღვაწეები:

სონია ჰაინენი (World Cinema Fund),  
ჩედომირ კოლარი (ASAP Films),  
ჰეილი ჯო (Black market industry screenings),  
ანდრეი ხალახჩი (Ukrainian Cinema Foundation),  
გაბრიელა ბრუნენმაიერი (Artistic Director of Connecting Cottbus)  
გევორგ გევორგიანი (National Cinema Centre of Armenia)  
რენი ჰარლინი - პროექტ „GEORGIA“-ს რეჟისორი  
რობერტ ჰუნგერბიულერი - შვეიცარიელი მსახიობი

კინობაზრობის პროგრამის ფარგლებში, „Les Cinemas du Monde“ ორგანიზებით, ნაჩვენები იყო რუსულან პირველის ფილმი „სუსა“, რომელის გადაღება ნაწილობრივ ეროვნულმა კინოცენტრმა დააფინანსა.

კანის კინოფისტივალზე სექციაში „Cannes Junior“ გაიმართა გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირის“ ჩვენებაც.



## HAPPY HOUR

Happy Hour საქართველოს პაკილიონიში

კანში ასევე გაიმართა ოთარ იოსელიანის ახალი ფილმის “შანტრაპას” არასაკონკურსო ჩვენება სექციაში Special Screening, რომელსაც New York Times-მა რეჟისორის ავტობიოგრაფიული ფანტაზია უწოდა და ემოციური სტატია მიუძღვნა.

კანის ბაზრობაზე ბაიერებისთვის რენი ჰარლინის გახმაურებული პროექტ “ჯორჯიას” სამი ჩვენება გაიმართა. ჰოლივუდური ბლოკბასტერი აგვისტოს ომზე ჯერ არ არის დასრულებული, თუმცა მას წარმატება პქნოდა და ფილმი რამდენიმე ქვეყანაში უკვე შეიძინა. “ჯორჯიას” ჩვენება კანში მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფილმი საქართველოს პოპულარიზაციას ეწევა.



რენი ჰარლინი საქართველოს პაკილიონში



კანის კინოფესტივალი 2010



Georgian National  
Film Center  
საქართველოს კინემათოგრაფიის  
არაწესობრივი სამსახური

## 30სბალის კინოფესტივალი

27 აპრილს, ვისბადენის კინოფესტივალზე Go East, ლევან კოლუშვილის „ქუჩის დღეები“ მთავარი პრიზით დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო ფილმი. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კინემატოგრაფის შეფასებისას, ვისბადენში, გასულ წლებშიც ქართული ფილმები აღიარეს საუკეთესოდ. ამავე ფესტივალის გამარჯვებული ფილმებია გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“ და ლევან ზაქარეიშვილის „თბილისი თბილისი“.



კაზრი ფილმიდან „ქუჩის დღეები“



ლევან კოლუშვილი

## კინოფესტივალი აოსტონეთში TOFIFEST

28 ივნისს პოლონეთის ქ. ტორუნში, TOFIFEST-ის მე-8 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში მოეწყო ქართული ფილმების რეტროსპექტიული ჩვენება, სადაც წარმოდგნილი იყო ახალი ქართული ფილმები:

- ლევან კოლუშვილის „ქუჩის დღეები“ და „ქალები საქართველოდან“
- ზაზა ურუშაძის „სამი სახლი“
- გიორგი ოვაშვილის „გაღმა ნაპირი“
- სალომე ალექსიშვილის „ბედნიერება“
- სალომე ჯაშის „ლიდერი ყოველთვის მართალია“
- თორნიკე ბზიავას „აპრილის სუსნი“

ფესტივალის ყოველწლიური ტრადიციაა ეროვნული ფილმების რეტროსპექტიული ჩვენებების ორგანიზება. წელს ეს სექცია ეთმობა საქართველოს და ქართულ კინოს.



პროგრამა განხორციელდა პოლონეთში საქართველოს საელჩოს, ეროვნული კინოცენტრისა და ბათუმის სავტორო ფილმების საერთაშორისო ფესტივალის თანამშრომლობით. ლევან კოლუშვილის ფილმი “ქუჩის დღეები” წარდგენილი იყო ფესტივალის საკონკურსო პროგრამაშიც.

ლევან კოლუშვილის “ქუჩის დღეებმა” ასევე მონაწილეობა მიიღო ედინბურგის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში. რომელიც ევროპის ერთ-ერთი პრესტიული და ავტორიტეტული ფესტივალია.

## კინოფესტივალი ზულგარეთი

ბულგარეთის ქალაქ ბალჩიკში ყოველწლიურად იკრიბებიან კინოსექტორის წარმომადგენლები მთელი მსოფლიოდან. აქ, ტრადიციულად, ახალგაზრდა კინემატოგრაფისტებისთვის FILM PALACE FESTIVAL -ის ფარგლებში, ტარლება ტრეინიგ პროგრამა Filmer Forge. ღონისძიება მიზნად ისახავს მონაწილეებს შორის გამოცდილების გაზიარებას, კონტაქტების დამყარებას, პროფესიული უნარების განვითარებას. საქართველოს ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა, თამარ ტატიშვილმა, მონაწილეობა მიიღო დისკუსიებში სამხრეთ აღმოსავლეთ კავკასიის კინოქსელის წარმომადგენლებთან ერთად.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს 11 ქვეყნის ეროვნული კინოცენტრების დირექტორებმა, რათა განეხილათ კოპროდუქციისა და დისტრიბუციის განვითარების შესაძლებლობები თავიანთ ქვეყნებში.

თამარ ტატიშვილი ასევე დაესწრო შავი ზღვის ქვეყნების კინოქსელის ჩამოყალიბების წინამოსამზადებელ შეხვედრებს.

## კინოფესტივალი "ამირანი"

ტრადიციისამებრ, ყოველი სასწავლო წლის დასასრულს, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი აწყობს სტუდენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს, სახელწოდებით „ამირანი“. წლევანდელი ფესტივალი ჩატარდა ეროვნული კინოცენტრის და ღია საზოგადოების ინსტიტუტის, ხელოვნებისა და კულტურის პროგრამის დაფინანსებით, ასევე, ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით. შერჩევის შედეგად ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში მოხვდა 57 ფილმი, მსოფლიოს 14 ქვეყნიდან: სამხრეთ აფრიკა, ბულგარეთი, ჩინეთი, კუბა, ესპანეთი, გერმანია, უნგრეთი, ყაზახეთი, ლიბანი, ლიტვა, პოლონეთი, პორტუგალია, უკრაინა და საქართველო.

კინოფესტივალი “ამირანი”



Georgian National  
Film Center

საქართველოს კინეაზომნის  
არაფინანსურირებული

# გამოშეხვის

7 მაისს, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, გაიმართა ორდისკიანი მულტიმედიური ალბომის: „ქართველი მგოსნის, აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 1912 წელს“ პრეზენტაცია. საზოგადოებამ პირველად ნახა უნიკალური ფირის აღდგენილი - ციფრული ვერსია.

პროექტი განახორციელეს: N&N სტუდიამ და კინომედიკვიდრეობის დაცვის ასოციაციამ.

პროექტის ავტორები არიან: კინორეჟისორი ნანა ჯანელიძე, კინომცოდნე მარინა კერესელიძე, სცენარისტი ნინო ნატროშვილი.

დაფინანსდა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და ეროვნული კინოცენტრის მიერ. ფინანსური პარტნიორია ასევე კომპანია „Ernst & Young“.

ალბომი ეძღვნება ქართული კინოკულტურის უნიკალურ ძეგლს - ვასილ ამაშუკელის დოკუმენტურ ფილმს „ქართველი მგოსნის აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში 21 ივლისიდან 2 აგვისტომდე, 1912 წელს“.



ფილმის ორიგინალი (1912 წლის პოზიტივის შემორჩენილი ფრაგმენტები) ციფრულ მატარებელზე გადაიტანა გერმანულმა კომპანიამ ARRI Film&TV Services (გერმანია), ხოლო ციფრული რესტავრაცია განახორციელა კომპანიამ DIAMANT - Digital Restoration (ავსტრია). დამზადდა კინონეგატივი, დაიბეჭდა ახალი ასლი.

20 აპრილს, არტკაფე „ქარავანში“, ეროვნული კინოცენტრის ორგანიზებით, გაიმართა ახალი კატალოგის „ქართული მხატვრული კინოს ფილმოგრაფია 1976-2009“-ის პრეზენტაცია.

კატალოგი მომზადდა და გამოიცა ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მსარდაჭერით.

დასურათებული კატალოგი მოიცავს 1976-2009 წლებში გადაღებულ ქართულ მხატვრულ სრულმეტრა-



ჟიან ფილმებს. ნაშრომი წარმოადგენს გიორგი კოპაძისა და ქეთევან ლორთქიფანიძის ავტორობით 1978 წელს გამოცემული ფიმულმოგრაფიის გაგრძელებას, რომელშიც თავმოყრილია 1916-1975 წლებში გადაღებული ქართული სრულმეტრაჟიანიმსატვრული ფილმები. კატალოგი შეადგინეს კინომცოდნებმა ლიანა ხოშტარიამ და არჩილ შუბაშვილმა.

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, ეროვნულმა კინოცენტრმა გამოსცა ასევე ქრესტომათია - სახელმძღვანელო სტუდენტ ოპერატორებისთვის, DVD ვერსია რომლის ავტორია გია გერსამია. დისკების პრეზენტაცია 28 აპრილს კულტურის სამინისტროში გაიმართა.

# სევა სიახლეები

17 ივნისს, რესტორან ქალაქურში გაიმართა ეროვნული კინოცენტრის ახალი ვებგვერდის პრეზენტაცია, რომლის მისამართია [www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)

ეროვნული კინოცენტრის კორპორატიული რეპრენდინგის ფარგლებში ახალ ვებგვერდზე ბოლო 3 თვის განმავლობაში ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობდა.

ვებგვერდი შეესაბამება თანამედროვე ინტერნეტ სტანდარტებს. მისი მეშვეობით შესაძლებელია ამომწურავი ინფორმაციის მიღება კინოცენტრის საქმიანობის შესახებ (გამოცხადებული კონკურსები, მიმდინარე ქართული კინოპროექტები, კვლევები, გამოცემები, ახალი ამბები, ვიდეოარქივი და სხვა).

პრეზენტაციაზე მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ცნობილი ქართველი კინომოღვაწეები.

ეროვნული კინოცენტრის ვებგვერდის დიზაინი მომზადდა შპს „ეი&ბი სერვისის“ მიერ.

[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)



## თემორიანდეული

28 აპრილს, საქართველოს კულტურის, სპორტის და მეცნიერებლის სამინისტროში ეროვნულ კინოცენტრისა და თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს ხელი მოაწერეს, ეროვნული კინოცენტრის დირექტორმა თამარ ტატიშვილმა, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი მარგელაშვილმა და კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

მემორანდუმი თვალისწინებს კინოცენტრს და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას. ორ უწყებას შორის პარტნიორობა გულისხმობს მთელი წლის განმავლობაში ერთობლივ პროექტებზე მუშაობას.



4-5 მაისს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტმა ცნობილ ჰელანდიელ რეჟისორს და პროდიუსერს პიტერ იან სმიტს უმასპინძლა.

პიტერ იან სმიტმა კულტურის მენეჯერებისა და კინო-ტელე ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა მასტერკლასი „კინოწარმოება და დაფინანსება“ - “Film production and financing“.

მასტერკლასზე განხილულ იქნა, რას ნიშნავს კინოს პროდიუსერობა, ბიუჯეტის შექმნა და დაფინანსება, კინოპროექტების განვითარება, კავშირები და ტრენინგები.

## კინომედიაიდერეობა

უნიკალური კინომედიაიდრეობის შენარჩუნების მიზნით ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით აღდგა ქართული კინოკლასიკის ხუთი ნიმუში: „ჯიმშვანთე“, „ჩემი ბებია“, „ქეთო და კოტე“, „მაგდანას ლურჯა“, „ფიროსმანი“. ამ კინოშედევრებს რესტავრაცია პრალის ლაბორატორიაში, თანამედროვე ტექნოლოგიით ჩაუტარდა. მოხდა მათი ციფრულ მატარებლებზე გადატანა. ფილმები სააქციო საზოგადოება „ქართულმა ფილმმა“ ეროვნული კინოცენტრის დახმარებით აღადგინა. ქართული კინოკლასიკის აღდგენა და ციფრულ ფორმატში გადატანა მომავალშიც გაგრძელდება.



## ქართული კულტურის ღლები პარიზში

ქართული კულტურის ღლების ფარგლებში, პარიზში, ქართული კინოკლასიკის რეტროსპექტიული ჩვენება გაიმართა. ფრანგულმა საზოგადოებამ ნახა აღდგენილი ქართული ფილმები: „ჯიმ შვანთე“, „მაგდანას ლურჯა“, „ჩემი ბებია“ და „ქეთო და კოტე“. უხმო ფილმების „ჯიმ შვანთეს“ და „ჩემი ბებიას“ ჩვენებას მუსიკალური აკომპანიმენტი ნიკა მემანიშვილმა გაუწია.

პარიზში, პიერ კარდენის ცენტრში ქართული კინოსა და თეატრის მუსიკის ნახევარი საათი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ: ეროვნული სიმფონიური ორკესტრი ნიკა მემანიშვილის დირიჟორობითა და გიორგი უშიკიშვილის, ასევე ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „ლაშარი“. პიერ კარდენის საგამოფენო დაბაზში, გაიხსნა ქართული კინოსა და თეატრის რეტროსპექტიული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული თეატრისა და კინოს მხატვრების - გამრეკელის, ოცხლის, ვირსალაძის, ყაზბეგის, შტენბერგის, შარლემანის, შველიძის, მურვანიძისა და მესხიშვილის ნამუშევრები. კულტურის ღლების დაესწრენ საქართველოს კულტურის მინისტრი, ნიკოლოზ რურუა, ეროვნული კინოცენტრის დირექტორი თამარ ტატიშვილი და საფრანგეთის პოლიტიკური და კულტურული ელიტის წარმომადგენლები.

ქართული კულტურის ღლები საფრანგეთში 25 მაისს დაიწყო. სწორედ ამ ღლებს თანამედროვე ზელოვნების მუზეუმში „პალე დე ტოკიო“ ალბომის „ქართული გაზაფხული - მაგნუმის ღლიურები“-ს პრეზენტაცია გაიმართა.



ჩემი ბებია (1929)



ჯიმ შვანთე (მარილი სვანეთს) (1930)



ქეთო და კოტე (1948)



მაგდანას ლურჯა (1955)

## გრანტები

ეროვნულმა კინოცენტრმა ბოლო სამი თვის განმავლობაში დაფინანსა 9 სტუდიი, რეჟისორი, პროდიუსერი, კინომცოდნე, რათა მათ უცხოეთში გაერღმავებინათ საკუთარი პროფესიული გამოცდილება. გაიცა სამგზავრო გრანტები სხვადასხვა მიზნით - საერთაშორისო კინოფესტივალებზე დასასწრებად, კინობაზრობებზე მონაწილეობის მისაღებად და სასწავლო პროგრამებში ჩართვისთვის, საგანმანათლებლო მიზნით.

[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)



თბილისი, 0105 გ. გამსახურდიას სანაპირო №4 ტელ: +995 32 999

200 ტელ/ფაქსი: + 995 32 999 102

4, Z. Gamsakhurdia Sanapiro, 0105 Tbilisi, Georgia Tel: + 995 32 999 200

Tel/Fax: + 995 32 999 102 [www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge) [info@gnfc.ge](mailto:info@gnfc.ge)